პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 4 (487) აპრილი 1986 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### განყოფილება პირველი

75. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. გ. ახვლედიანის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობიდან გამოყვანის შესახებ.

76. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ვ. გურგენიძის საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

77. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. ტ. რიგვავას საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

78. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სოფლების რეგისტრაციის შესახებ.

79. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ზოგიერთი დასახლებული პუნქტის სახელწოდების დაწერილობის დაზუსტების შესახებ.

80. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ.

81. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „ქარელის რაიონის სოფელ რუისში გამართული მოქალაქეთა საერთო კრების შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1986 წლის 7 იანვრის დადგენილების შესაბამისად მოქალაქეთა კრებებისა და სოფლის ყრილობების ჩატარების შედეგების თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

82. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება 1985 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებსა და რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში მოქალაქეთა მიმართვების განხილვის მდგომარეობის შესახებ.

83. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. დ. ლ. ქართველიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

84. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ე. ჩერქეზიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

85. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. ტ. რიგვავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შეყვანის შესახებ.

86. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ.

87. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. შ. ენდელაძის საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

88. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების შესახებ საქართველოს სსრ კანონებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.

89. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

## განყოფილება მეორე

90. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

91. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. მ. ბდოიანის მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

92. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

93. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ბ. გადელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

94. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის თანამშრომელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

95. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქუთაისის საავტომობილო ქარხნის რეკონსტრუქციისა და გაფართოების სამუშაოებზე განსაკუთრებით თავგამოჩენილ პირთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

96. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. დ. ს. ჯანელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

97. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ნ. ჯუსოევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

98. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ახალქალაქის კიდულ საბაგირო გზათა მოწყობილობის ქარხნის მშენებლობაზე განსაკუთრებით თავგამოჩენილ პირთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

99. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. მ. ობოლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

100. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებების მშენებლობაზე განსაკუთრებით თავგამოჩენილ პირთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

101. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. მ. გეგეჭკორისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

102. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედიცინის მეცნიერების მუშაკთათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

103. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

104. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედიცინის მეცნიერების მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

105. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქუთაისის საავტომობილო ქარხნის რეკონსტრუქციისა და გაფართოების სამუშაოებზე განსაკუთრებით თავგამოჩენილ მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

106. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება უმაღლესი სკოლის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

107. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ახალქალაქის კიდულ საბაგირო გზათა მოწყობილობის ქარხნის მშენებლობაზე განსაკუთრებით თავგამოჩენილ მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

108. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. ს. ვალიევასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

109. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მშენებლობაზე განსაკუთრებით თავგამოჩენილ მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

110. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. თ. ბოჭორიშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა.

პარლამენტის ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 75 ამხ. ზ. გ. ახვლედიანის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობიდან გამოყვანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გამოყვანილ იქნეს ამხ. ზურაბ გიორგის ძე **ახვლედიანი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობიდან მისი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოვალეობისაგან განთავისუფლებისა და პენსიაზე გასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 4 აპრილი.
№ 674—XI

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 76 ამხ. ნ. ვ. გურგენიძის საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ნელი ვლადიმერის ასული **გურგენიძე** საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 4 აპრილი.
№ 678—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 77 ამხ. ს. ტ. რიგვავას საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. სერგო ტარასის ძე **რიგვავა** საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 4 აპრილი.
№ 675—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 78 სოფლების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

რეგისტრირებულ იქნეს სოფლები თანახმად დანართისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 4 აპრილი.
№ 677—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის 1986 წლის 4 აპრილის
ბრძანებულების დანართი

## სარეგისტრაციო სოფლების

## ნ უ ს ხ ა

| სოფლის დასახელება | რომელ სასოფლო (სადაბო) საბჭოში შედის | რაიონის დასახელება |
|---|---|---|
| 1. ადიგენი | ადიგენის სადაბო | ადიგენის |
| 2. ბადაანი | სიონის სადაბო | თიანეთის |
| 3. ბინიერი | ჩიხარეშის | ლენტეხის, |
| 4. გვარა | კირნათის | ხელვაჩაურის, აჭარის ასსრ |
| 5. დიდება | კოჯრის სადაბო | გარდაბნის |
| 6. დიდვაკე | ჭახათის | ქობულეთის, აჭარის ასსრ |
| 7. ზანაქიძეები | ხელვაჩაურის სადაბო | ხელვაჩაურის, აჭარის ასსრ |
| 8. ზედა ერგე | ხელვაჩაურის სადაბო | ხელვაჩაურის, აჭარის ასსრ |
| 9. ზედა კირნათი | კირნათის | ხელვაჩაურის, აჭარის ასსრ |
| 10. ზედა ყანა | ჭვანის | შუახევის, აჭარის ასსრ |
| 11. ზედა ჭარნალი | თხილნარის | ხელვაჩაურის, აჭარის ასსრ |
| 12. თეთრაულები | არტანის | თიანეთის |
| 13. კაკუჩა | ჭახათის | ქობულეთის, აჭარის ასსრ |
| 14. კვარიათი | სარფის | ხელვაჩაურის, აჭარის ასსრ |
| 15. ლებურცხილა | ხაიშის | მესტიის |
| 16. ლექსურა | ლენტეხის სადაბო | ლენტეხის |
| 17. ლელვინჯილე | მიქავის | წალენჯიხის |
| 18. მაცხვარლამეზური | ლენტეხის სადაბო | ლენტეხის |
| 19. მზიანეთი | ჯანდარის | გარდაბნის |
| 20. ნაკაიძეები | ხუცუბნის | ქობულეთის, აჭარის ასსრ |
| 21. ომბოლო | თხილნარის | ხელვაჩაურის, აჭარის ასსრ |
| 22. ოშანახევი | ფუშრუკაულის | ხულოს, აჭარის ასსრ |
| 23. ოხტომი | ჭახათის | ქობულეთის, აჭარის ასსრ |
| 24. პატარა ზანავი | ჩორჩანის | ადიგენის |
| 25. სალიბაური | ჩაისუბნის | ხელვაჩაურის, აჭარის ასსრ |
| 26. სამადლო | კოჯრის სადაბო | გარდაბნის |
| 27. სალამო | განძანის | ბოგდანოვკის |
| 28. საჯინიბო | სიონის სადაბო | თიანეთის |
| 29. სხანდარა | ოქტომბრის | ხულოს, აჭარის ასსრ |
| 30. ფარეხა | ვარხანის | ადიგენის |
| 31. ფოთარო | წყლისაყრის | შუახევის, აჭარის ასსრ |
| 32. ფუხაანთუბანი | ატენის | გორის |
| 33. ქვედა თხილვანა | ხიხაძირის | ხულოს, აჭარის ასსრ |
| 34. ქვედა ქოქოლეთი | აჭარის ალმართის | ხელვაჩაურის, აჭარის ასსრ |
| 35. ქვედრულა | წედისის | ონის |
| 36. ქობალეთი | კირნათის | ხელვაჩაურის, აჭარის ასსრ |
| 37. ყაზახი | ლახამულის | მესტიის |
| 38. ყიშლა | სხალთის | ხულოს, აჭარის ასსრ |
| 39. შავლიძეები | ხელვაჩაურის სადაბო | ხელვაჩაურის, აჭარის ასსრ |
| 40. შუა მახინჯაური | მახინჯაურის სადაბო | ხელვაჩაურის, აჭარის ასსრ |
| 41. შუშანეთი | კირნათის | ხელვაჩაურის, აჭარის ასსრ |
| 42. ცენტერაძეები | ბარათაულის | შუახევის, აჭარის ასსრ |
| 43. ცხემლარა | აჭარის ალმართის | ხელვაჩაურის, აჭარის ასსრ |
| 44. ხალდე | კალის | მესტიის |
| 45. ჯვარი | ბარათაულის | შუახევის, აჭარის ასსრ |

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

## 79 ზოგიერთი დასახლებული პუნქტის სახელწოდების დაწერილობის დაზუსტების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაზუსტდეს ზოგიერთი დასახლებული პუნქტის სახელწოდების დაწერილობა თანახმად დანართისა.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 4 აპრილი.

№ 676—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის 1986 წლის 4 აპრილის
დადგენილების დანართი

### ნ უ ს ხ ა

### დასახლებული პუნქტებისა, რომელთა სახელწოდების დაწერილობა დაზუსტდა

| დაწერილობა 1977 წელს გამოცემული ცნობარის მიხედვით | რაიონებისა და სასოფლო (სადაბო) საბჭოს დასახელება | დაზუსტებული დაწერილობა |
|---|---|---|
| აბუქეთი | ქედის, ზვარის, აჭარის ასსრ | აბუქეთა |
| აგურიფსთა | სოხუმის, ფსხუს, აფხაზეთის ასსრ | აგურაფსთა |
| ათარა არმიანსკოე | ოჩამჩირის, ათარა-არმიანსკაიას, აფხაზეთის ასსრ | ათარა არმიანსკაია |
| აკვარიკა | გალის, რეფო-შეშელეთის, აფხაზეთის ასსრ | აკვარიკვა |
| ანუხვა არმიანსკოე | გუდაუთის, ანუხვის, აფხაზეთის ასსრ | ანუხვა არმიანსკაია |
| არაკვა | ახალქალაქის, არაგვის | არაგვა |
| არგვეთი | საჩხერის, გორისის | გამოღმა არგვეთი |
| არხვა (ელირთა) | გუდაუთის, ხოფის, აფხაზეთის ასსრ | არხა (ელირთა) |
| ალთალლა | გარდაბნის, ალთაქლის | ალთაქლა |
| ახალი კადუეთი | დუშეთის, მჭადიჯვრის | ახალი კადოეთი |

| დაწერილობა 1977 წელს გამოცემული ცნობარის მიხედვით | რაიონებისა და სასოფლო (სადაბო) საბჭოს დასახელება | დაზუსტებული დაწერილობა |
|---|---|---|
| ახშაანი | ახმეტის, ქისტაურის | ახშანი |
| ბნეიათბეგონი | დუშეთის, ქვეშეთის | ბენიან-ბეგონი |
| ბოგჩვილო | დუშეთის, ბარისახოს | ბოქჩვილო |
| ბურსაჭილი | დუშეთის, გუდამაყრის | ბურსაჭირი |
| გიორგიწმინდა | დუშეთის, შატილის | გიორგწმინდა |
| გორგაძეები | ხულოს, ხულოს სადაბო, აჭარის ასსრ | გოდგაძეები |
| დედისფერულა | ახმეტის, დუისის | დედისფერული |
| დიდებაანი | დუშეთის, გუდამაყრის | დიდებანი |
| დუნუსი | დმანისის, განთიადის | ტნუსი |
| ებუდი | მესტიის, ეწრის | ჰებუდი |
| ელიძეები | ხულოს, ხულოს სადაბო, აჭარის ასსრ | ელელიძეები |
| თორელაანი | დუშეთის, გუდამაყრის | თორელანი |
| იფარი | მესტიის, ლახამულის | ქვედა იფარი |
| ლაფალაში | ლენტეხის, ჟახუნდრის | ლამფალაში |
| მინდაძეები | ხულოს, ღორჯომის, აჭარის ასსრ | მინთაძეები |
| მუგუძირხვა | გუდაუთის, მგუძირხვის, აფხაზეთის ასსრ | მგუძირხვა |
| ნაღორევი | დუშეთის, ქვეშეთის | ნაღვარევი |
| ნადიბაანი | დუშეთის, ქვეშეთის | ნადიბანი |
| ობჩის (სასოფლო საბჭო) | მაიაკოვსკის, პირველი ობჩის | პირველი ობჩის |
| პალოური | წალენჯიხის, ლიის | პალური |
| საკერპე | დუშეთის, გუდამაყრის | საკერპო |
| საკუკაო | ხობის, ხამისკურის | საკუკავო |
| სალიბაური | ხელვაჩაურის, ურეხის, აჭარის ასსრ | ქვედა სალიბაური |
| საულახტიყაუ | ჯავის, როკის, სამხრეთ ოსეთის ა/ო | საულოხტიყაუ |
| საჯინაანი | დუშეთის, გუდამაყრის | სიჯანანი |
| ტობახჩა-თავსურები | ჩოხატაურის, ზემო სურების | ტობახჩა<br>თავსურები<br>(ორი ცალკე სოფელი) |
| ულიანოვკა | გარდაბნის, ახალი ულიანოვკის | ახალი ულიანოვკა |
| ქედელები | ხულოს, ხულოს სადაბო, აჭარის ასსრ | ქედლები |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| დაწერილობა 1977 წელს გამოცემული ცნობარის მიხედვით | რაიონებისა და სასოფლო (სადაბო) საბჭოს დასახელება | დაზუსტებული დაწერილობა |
|---|---|---|
| ქოთეში | თეთრი წყაროს, დურნუკის | ქოთიში |
| ყარათაღლა | გარდაბნის, ალთაქლის | ყარათაქლა |
| ყველაანი | დუშეთის, ქვეშეთის | ყვილანი |
| შარუმიანი | დუშეთის, ქვეშეთის | შარმიანი |
| წაბლარისხევი | მაიაკოვსკის, ნერგეების | წაბლარასხევი |
| წიფნარა | ჩოხატაურის, კოხნარის | წიფნარი |
| ჭახაურა | ხულოს, ღორჯომის, აჭარის ასსრ | ჭახაური |
| ჭიკაანი | დუშეთის, ფასანაურის სადაბო | ჭიკანი |
| ხოზვრარი | მესტიის, ფარის | ხოსრარი |
| ხუნჯულოური | სამტრედიის, ნაბაკევის | ხუნჯულაური |
| ჯახუნდერი | ლენტეხის, ჯახუნდრის | ჯახუნდერი |

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

### 80 სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სკკპ XXVII ყრილობის მიერ დაყენებული ამოცანების განხორციელებისა და „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესრულების მიზნით **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს განუხრელი ხელმძღვანელობისა და შესრულებისათვის სკკპ XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურ მოხსენებაში, ყრილობის რეზოლუციაში, სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში მოცემული დებულებები და დასკვნები.

2. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა:

ყოველმხრივ გაიაზრონ ყრილობის საპროგრამო მითითებანი, ყურადღება გაამახვილონ თავიანთი რეგიონის, თითოეული ქალაქისა და სოფლის, თითოეული შრომითი კოლექტივის კონკრეტულ პირობებში ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ შესრულებაზე, ამასთან მიაღწიონ ყველგან პრინციპულობის, მაღალი მომთხოვნელობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისადმი შეურიგებლობის ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნას;

მთელ თავიანთ საქმიანობას საფუძვლად დაუდონ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი განვითარების დაჩქარების, მოსახლეობის მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დაკმაყოფილების, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფის, დისციპლინისა და წესრიგის შემდგომი განმტკიცებისათვის ადგილობრივი საბჭოების როლის ამაღლებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე პარტიის მოთხოვნათა განუხრელი განხორციელება;

უფრო სრულად გამოიყენონ სსრ კავშირის კონსტიტუციით და კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება, გამოიჩინონ მეტი დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობა იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც ეხება მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებას; ყოველნაირად აამაღლონ ადამიანთა აქტიურობა, ფართოდ დაეყრდნონ მას მთელს მუშაობაში, თანამიმდევრულად განახორციელონ საზოგადოებისა და სახელმწიფო საქმეთა მართვაში მშრომელთა მიზიდვის ლენინური პრინციპი;

გააძლიერონ ანგარიშვალდებული ორგანოების მუშაობისადმი კონტროლი და კოორდინაცია; უფრო აქტიურად ჩააბან მათს ტერიტორიაზე მდებარე ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოები და ორგანიზაციები ადგილობრივი სოციალური საკითხების გადაწყვეტაში;

მუდმივად იზრუნონ სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის, მიაღწიონ სოფლის მეურნეობის მყარ განვითარებას, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებას, მათი დაცვა-შენახვის უზრუნველყოფას;

დღენიადაგ იზრუნონ 1986 წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის საგეგმო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების უთუოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გადაჭარბებით შესასრულებლად; მაქსიმალურად გამოიყენონ ყველა რეზერვი და ადგილობრივი შესაძლებლობა წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად;

ყოველნაირად აამაღლონ ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა პერსონალური პასუხისმგებლობა მაღალხარისხიანი პროდუქციის გამოსაშვებად საჭირო ორგანიზაციული და ტექნიკურ-ეკონომიკური პირობების შექმნისათვის, იბრძოლონ უყაირათობისა და დანაკარგების წინააღმდეგ; მიაღწიონ შრომისა და მოხმარების ოდენობისადმი ქმედითი კონტროლის, სოციალური სამართლიანობის პრინციპების განხორციელებას;

მთელი თავიანთი მეცადინეობა მოახმარონ კანონიერების განმტკიცებასა და მართლწესრიგის დაცვის უზრუნველყოფას; აამაღლონ მშრომელთა აქტიურობა სოციალისტური ქონების დატაცების, მუქთახორობის, ალკოჰოლიზმისა და ლოთობის და სხვა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩვენი სამართლისა და მორალის ნორმებიდან ყოველგვარი გადახვევის დაძლევაში, ამ საქმეში უფრო ფართოდ გამოიყენონ შრომითი კოლექტივების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების, სოფლის ყრილობების, საცხოვრებელ ადგილას მოსახლეობის კრებების შესაძლებლობანი;

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მოსახლეობასთან, და უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდობასთან, პოლიტიკურ-აღმზრდელობითსა და კულტურულ-მასობრივ მუშაობას, საბჭოთა ადამიანებში კომუნიზმის იდეებისადმი ერთგულების, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობის, მაღალი მორალური თვისებების, შრომისა და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულების აღზრდას;

პარტიის მოთხოვნათა შესაბამისად გადაჭრით განაახლონ თავიანთი მუშაობის სტილი, უზრუნველყონ სიზუსტე და ოპერატიულობა, ნოვატორული მიდგომა, სიღრმე, კომპეტენტურობა მუშაობაში; სრულყონ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა აამაღლონ სესიების ეფექტიანობა, გააძლიერონ საჯაროობა. ხელი შეუწყონ მუდმივი კომისიების ანალიტიკური და საკონტროლო საქმიანობის გაძლიერებას, დეპუტატთა მიერ შეკითხვის წესით საკითხის დაყენების პრაქტიკის გაფართოებას.

უზრუნველყონ შრომითი კოლექტივების შესახებ კანონით განმტკიცებული დემოკრატიული პრინციპებისა და ნორმების განხორციელება; ყოველნაირად გააფართოონ შრომით კოლექტივებში და მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილას აქტუალური საკითხების, საბჭოების გადაწყვეტილებათა პროექტების განხილვის პრაქტიკა, უფრო ეფექტიანად გამოიყენონ მოქალაქეთა

მუხ 80
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრებები, ამომრჩეველთა განაწესები, პრესა, რადიო, ტელევიზია ,მშრომელთა წერილები, საზოგადოებრივი აზრის გამოვლენის სხვა საშუალებები;

სრულყონ დეპუტატებთან მუშაობა, განუხრელად აამაღლონ მათი პასუხისმგებლობა სადეპუტატო მოვალეობათა განხორციელებისათვის, გაუწიონ ქმედითი დახმარება სახელმწიფოს მართვის ხელოვნების დაუფლებაში.

3. რჩევა მიეცეთ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებს თავიანთ სესიებზე განიხილონ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანები, ყოველმხრივ მკაცრად და თვითკრიტიკულად გააანალიზონ ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, შეიმუშაონ პრაქტიკული ღონისძიებანი ყრილობის მითითებათა სარეალიზაციოდ, ამასთან აღნიშნონ ვადები და შემსრულებლები, მკაცრი კონტროლი დააწესონ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისადმი. სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონულმა და საქალაქო საბჭოებმა კონკრეტული დახმარება გაუწიონ ქვემდგომ საბჭოებს სესიების ჩატარებაში.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა და პრეზიდიუმის აპარატის პასუხისმგებელ მუშაკთა მონაწილეობა სახალხო დეპუტატთა საბჭოების სესიების მუშაობაში.

4. სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა უზრუნველყონ სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებულ საბჭოთა აქტივის სკოლა-ლექტორიუმებში, დეპუტატთა სკოლებში პარტიის XXVII ყრილობის მასალების ღრმად შესწავლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ რეკომენდებული თემატიკის მიხედვით;

საბჭოთა მუშაობის კაბინეტებში, დეპუტატის ოთახებში მოაწყონ სკკპ XXVII ყრილობისადმი მიძღვნილი ლიტერატურის თემატური გამოფენა, კონსულტაციები და საუბრები.

5. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობის, ქვემდგომი საბჭოების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის საკვანძო საკითხებს. უზრუნველყონ საბჭოების ქმედითი კონტროლი ანგარიშვალდებული ორგანოების მუშაობისადმი, მისი გამიზნულობა საბოლოო შედეგების მისაღწევად, ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. უფრო სრულად გამოიყენონ კონსტიტუციური დებულებები უმაღლესი საბჭოებისა და მათი პრეზიდიუმების წინაშე მინისტრთა საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების, სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ რეგულარული ანგარიშგების შესახებ.

6. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა ინფორმაცია ამ დადგენილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1987 წლის 1 თებერვლამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 9 აპრილი.
№ 681—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

### 81 „ქარელის რაიონის სოფელ რუისში გამართული მოქალაქეთა საერთო კრების შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1986 წლის 7 იანვრის დადგენილების შესაბამისად მოქალაქეთა კრებების და სოფლის ყრილობების ჩატარების შედეგების თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა ინფორმაცია რესპუბლიკაში მოქალაქეთა კრებების და სოფლის ყრილობების ჩატარების შედეგების შესახებ, აღნიშნავს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებული დადგენილების შესაბამისად ამა წლის იანვარ-მარტში რესპუბლიკის დაბებსა და სოფლებში ჩატარდა მოქალაქეთა კრებები და სოფლის ყრილობები დევიზით: „მშობლიური სოფლის კეთილი ტრადიციების გამრავლება თითოეულისა და ყველას ღირსებაა!“.

მოქალაქეთა კრებებსა და ყრილობებს დაესწრო 400 ათასამდე კაცი, გამოვიდა 12 ათასზე მეტი.

სოფლის ყრილობები და მოქალაქეთა კრებები ძირითადად ორგანიზებულად ჩატარდა; მათს უმეტესობაზე შექმნილი იყო კომუნისტური მორალის ნორმების დამრღვევ პირთა მიმართ საყოველთაო გაკიცხვისა და შეურიგებლობის ატმოსფერო; კრებებისა და ყრილობების მონაწილეთა გამოსვლები განსაკუთრებით მწვავე და პრინციპული ხასიათისა იყო სკკპ XXVII ყრილობის მუშაობის დღეებსა და ყრილობის შემდგომ პერიოდში.

კრებების და ყრილობების მონაწილენი მოითხოვდნენ ყველაზე მკაცრი ზომების მიღებას უშრომელი შემოსავლით მცხოვრებ, სოციალისტური საკუთრების დამტაცებელ პირთა, მექრთამეობისა და ლოთების წინააღმდეგ.

მოქალაქეთა კრებებსა და სოფლის ყრილობებზე შეტანილ იქნა 3.000-ზე მეტი წინადადება და კრიტიკული შენიშვნა, მათი უმრავლესობა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა კონტროლზე აიყვანეს.

ამასთან მოქალაქეთა კრებების და სოფლის ყრილობების ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მიერ გაწეული მუშაობის ანალიზი მოწმობს, რომ საბჭოები და მათი აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასრულებელი კომიტეტები თავიანთ მუშაობაში ჯერ კიდევ არასაკმარისად ეყრდნობიან საზოგადოებრიობას; ცალკეულ დაბებსა და სოფლებში დაკნინებულია მოქალაქეთა კრებების და სოფლის ყრილობების როლი, ხშირად მათ ატარებენ ფორმალურად, იმ კონკრეტული საკითხების გვერდის ავლით, რომლებიც მოქალაქეებს აღელვებთ, არ ასახელებენ საბჭოთა კანონების უხეშად დამრღვევ პირებს, ხოლო მათი უკანონო მოქმედებანი საზოგადოებრიობის სათანადო გაკიცხვას არ იწვევს; სუსტად გამოიყენება მოქალაქეთა კრებებისა და სოფლის ყრილობების შესაძლებლობანი ყველგან და ყველაფერში დისციპლინისა და წესრიგის დასამყარებლად. ამიტომაც ასეთ ყრილობებს და კრებებს არ მოჰყვება კონკრეტული საქმეები. მოქალაქეთა წინადადებებსა და კრიტიკულ შენიშვნებს საბჭოების აღმასკომები სათანადოდ არ განაზოგადებენ და არ ითვალისწინებენ სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებზე გადაწყვეტილებათა შემუშავებისას, ყრილობების და კრებების ჩატარებაში ნაკლებად იზიდავენ დეპუტატებს.

აბაშის, გეგეჭკორის, გარდაბნის, ლენტეხის, მახარაძის, მცხეთის, საჩხერის, სიღნაღის და ზოგიერთ სხვა რაიონში მოქალაქეთა კრებების და სოფლის ყრილობების ჩატარებისას დაშვებული იყო არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი და ხარვეზები.

ზოგიერთი მოქალაქეთა კრებისა და სოფლის ყრილობის დაბალ ეფექტიანობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მათი ყველგან ჩატარების მიუხედავად რესპუბლიკის რიგ რაიონებში დამნაშავეობა არა თუ შემცირდა, არამედ ზრდის ტენდენციაც კი აღინიშნა; მათ შორის ბევრი დანაშაული ჩადენილია სიმთვრალეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა:

განუხრელად იხელმძღვანელონ სკკპ XXVII ყრილობის მითითებებით, რომლებიც გამიზნულია საზოგადოების შემდგომი დემოკრატიზაციის, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის გაღრმავებისათვის; უფრო ეფექტიანად გამოიყენონ მოქალაქეთა კრებები და სოფლის ყრილობები როგორც უშუალო დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არხი;

ყოველნაირად აამაღლონ სოფლის ყრილობებისა და მოქალაქეთა კრებების როლი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი განვითარების დასაჩქარებლად, საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად, სოციალისტური კანონიერების, დისციპლინისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად, საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად მოსახლეობის დარაზმვის საქმეში;

გააქტიურონ ყველა საფეხურის საბჭოების დეპუტატთა, წარმოების მოწინავეთა მონაწილეობა მოქალაქეთა კრებებსა და სოფლის ყრილობებში; უფრო ფართოდ მიიზიდონ კრებებისა და ყრილობების მომზადება-ჩატარებაში მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები;

 № 4
ეროვნული ბიბლიოთეკა

ილვაწონ მოსახლეობის წინაშე აღმასრულებელი ორგანოების ანგარიშგების დონის ასამაღლებლად; უზრუნველყონ მათ წინაშე აღმასკომების, მოსამართლეების, მართვის ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა ანგარიშგების რეგულარობა და ქმედითობა;

ყურადღებით შეისწავლონ, ჯეროვანი რეაგირება მოახდინონ მოქალაქეთა კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე და დროულად აცნობონ მოსახლეობას მათი რეალიზაციის შესახებ;

უფრო აქტიურად წარმართონ მუშაობა მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდის გასაუმჯობესებლად, სამართალდარღვევათა ასაცდენად, უფრო ფართოდ გამოიყენონ ამ საქმეში მოსახლეობის საზოგადოებრივი ფორმირებების, მოქალაქეთა კრებებისა და სოფლის ყრილობების შესაძლებლობანი;

ყოველნაირად განამტკიცონ საბჭოებისა და მათი ორგანოების ურთიერთმოქმედება პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან; სრულყონ მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებისადმი ხელმძღვანელობა საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა კომუნისტური სულისკვეთებით აღსაზრდელად, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობისათვის ფართო მასების მისაზიდად;

უზრუნველყონ საჯაროობის დემოკრატიული პრინციპების ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების დანერგვა, საბჭოთა მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადება და გავრცელება.

2. საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების მოხსენებითი ბარათი დაეგზავნოთ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს სათანადო რეაგირებისათვის.

3. საბჭოების მუშაობის საკითხებისა და იურიდიულმა განყოფილებებმა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებისა და დაინტერესებული უწყებების მონაწილეობით ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქალაქეთა საერთო კრებებისა და სოფლის ყრილობების დებულების პროექტი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1986 წლის 9 აპრილი.
№ 685—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

## 82 1985 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებსა და რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში მოქალაქეთა მიმართვების განხილვის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წერილებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების ინფორმაცია მიღებულ იქნეს ცნობად და დაეგზავნოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, რესპუბლიკის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო, საქართველოს სსრ რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

2. სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა:

— მშრომელთა წერილებზე მუშაობაში განუხრელად იხელმძღვანელონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში ჩამოყალიბებული მოთხოვნებითა და ამოცანებით, ყრილობის გადაწყვეტილებებით;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მოქალაქეთა მიმართვებზე მუშაობის დონის ამაღლებას, დასახონ და განახორციელონ სათანადო ღონისძიებები განცხადება-საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, განმეორებითი, კოლექტიური განცხადება-საჩივრებისა და ზემდგომ ორგანოებში მოქალაქეთა მიმართვების წარმომშობი მიზეზების გამოვლენა-აღსაკვეთად;

— აამაღლონ აპარატისა და დაქვემდებარებული ორგანოებისა და ორგანიზაციებისადმი მომთხოვნელობა და ხელმძღვანელ მუშაკთა პასუხისმგებლობა მოქალაქეთა მიმართვების დროული განხილვისა და მათში დაყენებული საკითხების ოპერატიული გადაწყვეტისათვის; გულდასმით შეისწავლონ ადამიანთა საჭიროებები და მოთხოვნილებები, გამოიჩინონ მეტი გულისხმიერება და მზრუნველობა, მიიღონ საჭირო ზომები მათი კანონიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;

— აღკვეთონ მიმართვების განხილვის საქმეში გულგრილობის, ბიუროკრატიზმის, ფორმალური დამოკიდებულების გამოვლენები, მკაცრად მოსთხოვონ იმ თანამდებობის პირთ, რომლებიც გაუმართლებლად აჭიანურებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქეთა განცხადება-საჩივრებში დაყენებული საკითხების შესწავლა-გადაწყვეტას; განამტკიცონ შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინა;

— საფუძვლიანად გააანალიზონ და საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების კოლეგიათა სხდომებსა და თათბირებზე პერიოდულად მოისმინონ ხელმძღვანელ მუშაკთა ანგარიშები შრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების მდგომარეობის შესახებ;

— ფართოდ დანერგონ გასვლითი მიღება შრომითს კოლექტივებში და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, „ღია წერილის დღეების" და კითხვა-პასუხის საღამოების ჩატარების პრაქტიკა, უზრუნველყონ ყოველდღიურ საქმიანობაში საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება, მოქალაქეთა მიმართვების განხილვაში აქტიურად ჩააბან საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები;

მეტი ყურადღება დაუთმონ მოსახლეობის ინფორმირებას რაიონის, ქალაქის წინაშე არსებული პრობლემების, ცხოვრების აქტუალური საკითხების, მოქალაქეთა ზეპირი და წერილობითი მიმართვების განხილვის მდგომარეობისა და მათ გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

3. აღინიშნოს, რომ სახალხო დეპუტატთა თბილისის, რუსთავის, კასპის, საგარეჯოს, მცხეთის, ოჩამჩირის, გუდაუთის, დმანისის, წალკის, წითელი წყაროს რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობისა და ვაჭრობის სამინისტროებმა, ქ. თბილისის პროკურატურამ გაუმართლებლად გააჭიანურეს ზოგიერთი მოქალაქის განცხადებაში აღძრული საკითხების გადაწყვეტა. დაევალოთ მათ სათანადო რეაგირება მოახდინონ ინფორმაციაში აღნიშნულ ფაქტებზე და შედეგების შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ამა წლის პირველ ივნისამდე.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წერილებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილებამ კონტროლი განახორციელოს აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 9 აპრილი.

№ 687—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 83 ამხ. დ. ლ. ქართველიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. დიმიტრი ლევანის ძე **ქართველიშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1986 წლის 11 აპრილი.
№ 695 ა—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 84 ამხ. ო. ე. ჩერქეზიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ოთარ ევტიხის ძე **ჩერქეზია** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ და განთავისუფლდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1986 წლის 12 აპრილი.
№ 696—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 85 ამხ. ს. ტ. რიგვავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შეყვანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

შეყვანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ამხ. სერგო ტარასის ძე **რიგვავა** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 14 **აპრილი**.

№ 701—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 86 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 18 **აპრილი**.

№ 709—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 87 ამხ. ნ. შ. ენდელაძის საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

დაინიშნოს ამხ. ნუგზარ შალვას ძე ენდელაძე საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 18 აპრილი.

№ 710—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 88 საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების შესახებ საქართველოს სსრ კანონებში ცვლილებათა და- დამატებათა შეტანის თაობაზე

„აგროსამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელობის დარგში საბჭოების უფლებამოსილებათა შესახებ სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა შეტანის თაობაზე" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 11 მარტის ბრძანებულების, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების შესახებ საქართველოს სსრ კანონების სსრ კავშირის კანონმდებლობასთან, საქართველოს სსრ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის და მისი შემდგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**

1. დაწესდეს, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოები შესაბამისად ქმნიან ოლქის აგროსამრეწველო კომიტეტს და რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს.

ოლქის აგროსამრეწველო კომიტეტი, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებები თავიანთი საქმიანობით ექვემდებარებიან როგორც სახალხო დეპუტატთა საბჭოებს და მათ აღმასრულებელ კომიტეტებს, ისე სახელმწიფო მმართველობის შესაბამის ზემდგომ ორგანოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები საქართველოს სსრ შემდეგ კანონებში:

1. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“ საქართველოს სსრ 1986 წლის 12 ნოემბრის კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1980 წლის № 11 უწყებების დანართი; 1982 წ., № 6, მუხ. 168):

1) მე-18 მუხლის:

მე-14 პუნქტში სიტყვები „საჭიროებისამებრ შეუძლია შეამციროს განაკვეთები და დაუწესოს შეღავათები ადგილობრივ გადასახადსა და გამოსაღებზე როგორც ცალკეული კატეგორიის დასაბეგრ ობიექტებს და გადამხდელთა ჯგუფებს“ შეიცვალოს სიტყვებით „უფლება აქვს შეამციროს განაკვეთები და დაუწესოს დამატებითი შეღავათები ადგილობრივ გადასახადსა და გამოსაღებზე როგორც გადამხდელთა ჯგუფებს“;

მე-19 პუნქტს დაემატოს სიტყვები „რაიონებისა და ქალაქებისათვის აწესებს პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქეთა კუთვნილი შენობებისა და ცხოველების სახელმწიფო დაზღვევის სადაზღვევო გადასახდელთა განაკვეთებს ამ სახის დაზღვევისათვის ავტონომიური ოლქისათვის დამტკიცებული საშუალო განაკვეთების ფარგლებში“.

2) 22-ე მუხლის:

დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 22.** უფლებამოსილება აგროსამრეწველო კომიტეტის ხელმძღვანელობის დარგში“;

$1^1$ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„$1^1$) ქმნის ოლქის აგროსამრეწველო კომიტეტს“.

3) 26-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4) კონტროლს უწევს საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვის მდგომარეობას, აგრეთვე საცხოვრებელი ფართობის განაწილების და საცხოვრებელი სადგომის მიცემის სისწორეს“.

4) 42-ე მუხლის $5^1$ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„$5^1$) ოლქის აგროსამრეწველო კომიტეტის შექმნა, კომიტეტის თავმჯდომარის დანიშვნა და თანამდებობიდან განთავისუფლება“.

5) 62-ე მუხლის დასახელება და ამ მუხლის წინამდებარე მეორე თავის ქვესათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები. ოლქის აგროსამრეწველო კომიტეტი

**მუხლი 62.** განყოფილებებისა და სამმართველოების შექმნა. აგროსამრეწველო კომიტეტის შექმნა“.

6) 62-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეექვსე ნაწილი:

„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო კომიტეტი თავისი საქმიანობით ექვემდებარება როგორც სახალხო დეპუტატთა საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე სახელმწიფო მმართველობის შესაბამის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემდგომ ორგანოს, ოლქის აგროსამრეწველო კომიტეტის შესახებ ტიპურ დებულებას ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო“.

2) „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ 1971 წლის 9 დეკემბრის კანონში, კანონის 1979 წლის 11 დეკემბრის რედაქციით (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1979 წ., № 13, მუხ. 364; 1982 წ., № 6, მუხ. 168):

1) მე-13 მუხლის:

მე-6 პუნქტში სიტყვები „სასამართლო ორგანოების“ შეიცვალოს სიტყვებით „სასამართლოსა და სანოტარო კანტორის“;

მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11) კანონმდებლობის შესაბამისად ამცირებს ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებების განაკვეთებს და აწესებს დამატებით შეღავათებს როგორც გადამხდელთა ჯგუფისათვის, ისე ცალკეული გადამხდელებისათვის“.

2) მე-14 მუხლის $1^{1}$ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„$1^{1}$) ქმნის რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებას, აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს და ცვლის საბჭოს შემადგენლობას“.

3) მე-15 მუხლის მე-8 პუნქტის პირველ აბზაცში სიტყვები „და წიაღისეულის“ შეიცვალოს სიტყვებით „წიაღისეულის, ატმოსფერული ჰაერის და ცხოველთა სამყაროს“.

4) მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4) ანაწილებს საცხოვრებელ ფართობს და აძლევს მოქალაქეებს საცხოვრებელ სადგომებს საბჭოს გამგებლობაში არსებული საბინაო ფონდის სახლებში; კონტროლს უწევს საცხოვრებელი ფართობის განაწილებისა და მოქალაქეებისათვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის სისწორეს; მოქალაქეებს აძლევს ორდერს საცხოვრებელ სადგომებზე; კანონმდებლობის შესაბამისად წყვეტს საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის სხვა საკითხებს“.

5) მე-20 მუხლის მე-6 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ერთჯერადი გამოსაღებების ოდენობასა და“,

6) 27-ე მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვები „განიხილავს საჩივრებს თანამდებობის პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილებათა გამო, აუქმებს მის დადგენილებებს“ შეიცვალოს სიტყვებით „აუქმებს სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის დადგენილებებს“.

7) 36-ე მუხლის $5^{1}$ და მე-6 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„$5^{1}$) აგროსამრეწველო გაერთიანების, აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს შექმნა და საბჭოს შემადგენლობის შეცვლა;

6) სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის შექმნა და მისი შემადგენლობის შეცვლა, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის მუშაობის ანგარიშის მოსმენა, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის დადგენილებათა გაუქმება, თუ ისინი არ შეესაბამებიან კანონმდებლობას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8) 61-ე მუხლს სიტყვების „ხელი შეუწყონ საბჭოს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების“.

9) 82-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „დადგენილ ვადაში“ შეიცვალოს სიტყვებით „ორი კვირის ვადაში“.

3. „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ 1971 წლის 9 დეკემბრის კანონში, კანონის 1979 წლის 11 დეკემბრის რედაქციით (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1979 წ., № 13, მუხ. 365):

1) მე-13 მუხლის:

მე-4 პუნქტში სიტყვები „სასამართლო ორგანოების“ შეიცვალოს სიტყვებით „სასამართლოების, სახელმწიფო არბიტრაჟის და სანოტარო კანტორების“;

მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9) კანონმდებლობის შესაბამისად ამცირებს ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებების განაკვეთებს და აწესებს დამატებით შეღავათებს როგორც გადამხდელთა ჯგუფებისათვის, ისე ცალკეული გადამხდელებისათვის, აგრეთვე ანიჭებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეღავათებს“.

2) მე-15 მუხლის მე-11 პუნქტის პირველ აბზაცში სიტყვები „და წიაღისეულით“ შეიცვალოს სიტყვებით „წიაღისეულით, ატმოსფერული ჰაერით და ცხოველთა სამყაროთი“.

3) მე-16 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7) ეწევა საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვას; საწარმოებში, დაწესებულებებში და ორგანიზაციებში, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა, ახორციელებს კონტროლს საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვის მდგომარეობისადმი;

8) ანაწილებს საცხოვრებელ ფართობს და აძლევს მოქალაქეებს საცხოვრებელ სადგომებს საბჭოს გამგებლობაში არსებული საბინაო ფონდის სახლებში; კონტროლს უწევს საცხოვრებელი ფართობის განაწილებისა და მოქალაქეებისათვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის სისწორეს; მოქალაქეებს აძლევს ორდერს საცხოვრებელ სადგომებზე; კანონმდებლობის შესაბამისად წყვეტს საცხოვრებელი ფონდის გამოყენებისა და დაცვა-შენახვის სხვა საკითხებს“.

4) მე-18 მუხლის მე-4 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ერთჯერადი გამოსაღებების ოდენობისა და“.

5) 25-ე მუხლის:

მე-2 პუნქტში სიტყვები „განიხილავს საჩივრებს თანამდებობის პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილებათა გამო, აუქმებს მის დადგენილებებს“ შეიცვალოს სიტყვებით „აუქმებს სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის დადგენილებებს“.

მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11) ხელს უწყობს მუშაობაში სასამართლოს, პროკურატურის და იუსტიციის ორგანოებს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6) 30-ე მუხლის:

მე-4 პუნქტში სიტყვები „სასამართლო ორგანოების“ შეიცვალოს სიტყვებით „სასამართლოსა და სანოტარო კანტორის“;

მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5) კანონმდებლობის შესაბამისად ამცირებს ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებების განაკვეთებს და აწესებს დამატებით შეღავათებს, აგრეთვე საფინანსო ორგანოს წინასწარი დასკვნით ანიჭებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეღავათებს“.

7) 32-ე მუხლის:

მე-4 პუნქტში სიტყვები „სასამართლო ორგანოების“ შეიცვალოს სიტყვებით „სასამართლოსა და სანოტარო კანტორის“;

მე-5 პუნქტში სიტყვები „აწესებს შეღავათებს ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებების მიხედვით როგორც ცალკეული კატეგორიის დასაბეგრი ობიექტებისა და გადამხდელთა ჯგუფებისათვის“ შეიცვალოს სიტყვებით „აწესებს დამატებით შეღავათებს ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებების მიხედვით როგორც გადამხდელთა ჯგუფებისათვის“;

მე-7 პუნქტში სიტყვები „განიხილავს საჩივრებს სახალხო კონტროლის დადგენილებებზე თანამდებობის პირთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ; აუქმებს მის დადგენილებებს“ შეიცვალოს სიტყვებით „აუქმებს სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის დადგენილებებს“.

8) მე-40 მუხლის:

მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6) სახალხო კონტროლის საქალაქო, ქალაქის რაიონული კომიტეტის შექმნა და მისი შემადგენლობის შეცვლა; სახალხო კონტროლის საქალაქო, ქალაქის რაიონული კომიტეტის მუშაობის ანგარიშის მოსმენა; სახალხო კონტროლის საქალაქო, ქალაქის რაიონული კომიტეტის დადგენილებათა გაუქმება, თუ ისინი არ შეესაბამებიან კანონმდებლობას“;

დაემატოს მუხლს შემდეგი შინაარსის 11[1] პუნქტი:

„11[1]) დეპუტატთა ჯგუფების ხელმძღვანელთა დამტკიცება“.

9) 66-ე მუხლს სიტყვების „აგრეთვე ხელი შეუწყონ საბჭოს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების“.

10) 83-ე მუხლის მეხუთე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს დეპუტატები, რომლებიც არჩეული არიან მომიჯნავე საარჩევნო ოლქებში ან რომლებიც მუშაობენ ერთ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, ამომრჩეველთა შორის და შრომითს კოლექტივებში ერთობლივი მუშაობის ჩატარების მიზნით შეიძლება გაერთიანდნენ ტერიტორიულ და საწარმოო დეპუტატთა ჯგუფებად. დეპუტატთა ჯგუფების საქმიანობას განსაზღვრავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული დებულება, ხოლო აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში ამ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების მიერ დამტკიცებული დებულებები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11) 87-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „დადგენილ ვადაში“ შეიცვალოს სიტყვებით „ორი კვირის ვადაში“.

4. „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ 1968 წლის 25 დეკემბრის კანონში, კანონის 1979 წლის 11 დეკემბრის რედაქციით (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1979 წ., № 13, მუხ. 366):

1) მე-12 მუხლის:

მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5) კანონმდებლობის შესაბამისად ცალკეულ გადამხდელებს ანიჭებს შეღავათს ადგილობრივ გადასახადებსა და გამოსაღებებზე, აგრეთვე საფინანსო ორგანოს წინასწარი დასკვნით ანიჭებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეღავათებს“;

მე-8 პუნქტს დაემატოს სიტყვები „კანონმდებლობის შესაბამისად ცალკეულ მოქალაქეებს ანიჭებს სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შეღავათებს“.

2) მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის პირველ აბზაცში სიტყვები „და წიაღის“ შეიცვალოს სიტყვებით „წიაღის, ატმოსფერული ჰაერის და ცხოველთა სამყაროს“.

3) მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3) ანაწილებს საცხოვრებელ ფართობს და აძლევს მოქალაქეებს საცხოვრებელ სადგომებს საბჭოს გამგებლობაში არსებული საბინაო ფონდის სახლებში; მოქალაქეებს აძლევს ორდერს საცხოვრებლ სადგომებზე; კანონმდებლობის შესაბამისად წყვეტს საბინაო ფონდის გამოყენებისა და დაცვაშენახვის უზრუნველყოფის სხვა საკითხებს“.

4) 23-ე მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10) რეგისტრაციაში ატარებს საკოლმეურნეო კომლის და იმ მოქალაქეთა მეურნეობების საოჯახო-ქონებრივ გაყოფას, რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას სოფლის მეურნეობაში“.

5) 25-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 45$^{1}$**. სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ სამართალდარღვევათა საქმეების განსახილველად სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასკომთან ქმნის ადმინისტრაციულ კომისიას“.

6) 26-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „საპატიო“.

7) 33-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 12$^{1}$ პუნქტი:

„12$^{1}$) დეპუტატთა ჯგუფების ხელმძღვანელების დამტკიცება“.

8) დაემატოს კანონს შემდეგი შინაარსის 45$^{1}$ მუხლი:

